დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები ევროპის ქვეყნებში

(საკანონმდებლო ნორმების კრებული[1])

1. იტალია 2

2. ესპანეთი 5

3. ბულგარეთი 8

4. მონტენეგრო 9

5. მაკედონია 9

6. კოსოვო 12

7. სერბეთი 12

8. ხორვატია 13

9. ესტონეთი 14

10. ბოსნია 15

11. რუმინეთი 16

12. პოლონეთი 18

13. საფრანგეთი. 18

14. ალბანეთი 19

[1] კრებულის შედგენაზე და თარგმანზე პასუხისმგებელი - კახა წიქარიშვილი (საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის წევრი)

1. იტალია

2006 წლის 23 თებერვლის საკანონმდებლო დეკრეტი მაგისტრატების დისციპლინური გადაცდომების გამო საქმისწარმოების თაობაზე

მუხლი 2. სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას ჩადენილი დისციპლინური გადაცდომები

1. უფლებამოსილების განხორციელებისას დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს შემდეგი:

ა. გარდა ბ და გ პუნქტებში გათვალისწინებული შემთხვევებისა, ქმედება, რომელიც არღვევს პირველი მუხლით დადგენილ ვალდებულებებს უსამართლოდ აზიანებს ან დაუსაბუთებელ უპირატესობას ანიჭებს ერთ-ერთ მხარეს.

ბ. მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოსთვის სასამართლო ხელისუფლების შესახებ კანონით დადგენილი შეუთავსებლობის შესახებ შეუტყობინებლობა.

გ. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში საქმის აცილების ვალდებულების წინასწარი შეცნობით შეუსრულებლობა.

დ. აქტის გამოცემა კანონით დადგენილი სავალდებულო გარემოებების არსებობის გარეშე, უხეში და არასაპატიო დაუდევრობით, რომელმაც დააზიანა პირადი ან ქონებრივი უფლებები.

ე. სამოსამართლო საქმიანობის მარეგულირებელი კომპეტენტური ორგანოს მიერ დადგენილი ნორმების განმეორებითი ან უხეში დარღვევა.

ვ. უკანონოდ სხვისთვის იმ საქმიანობის გადაკისრება, რომლის განხორციელებაც პირის მოვალეობას წარმოადგენს.

ზ. არაჯეროვანი ან უხეშად არაჯეროვანი მოპყრობა მხარეების, მათი დამცველების, მოწმეების და ასევე სხვა პირების მიმართ, რომლებთანაც ურთიერთობა აქვს მაგისტრატს სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას.

თ. სხვა მაგისტრატის სამოსამართლო საქმიანობაში გაუმართლებელი ჩარევა.

ი. მაგისტრატის მიერ, მის საქმიანობაში გაუმართლებელი ჩარევის ფაქტის ხელმძღვანელისათვის შეუტყობინებლობა.

კ. კანონის უხეში დარღვევა, რომელიც გამოწვეულია არასაპატიო უცოდინრობით ან დაუდევრობით.

ლ. ფაქტების გამრუდება, რაც გამოწვეულია არასაპატიო დაუდევრობით.

მ. სამოსამართლო ფუნქციისთვის და მოვალეობისთვის შეუთავსებელი მიზნების განხორციელება. სამოსამართლო უფლებამოსილებასთან შეუთავსებელი ფუნქციების განხორციელება.

ნ. აქტის გამოცემა კანონით დადგენილი სავალდებულო მოტივაციის გარეშე, ანუ რომლის მოტივაციაც შედგება მხოლოდ კანონიერი საფუძვლის არსებობის დადასტურებისგან, ფაქტობრივი ელემენტების მითითების გარეშე, რომლებიც ამ საფუძვლების არსებობას ადასტურებენ.

ო. აქტის გამოცემა კანონით დადგენილი სავალდებულო გარემოებების არსებობის გარეშე, უხეში და არასაპატიო დაუდევრობით, რითაც ზიანი მიადგა პირად ან ქონებრივ უფლებებს.

პ. სამოსამართლო საქმიანობის მარეგულირებელი კომპეტენტური ორგანოს მიერ დადგენილი ნორმების განმეორებითი ან უხეში დარღვევა.

ჟ. უკანონოდ სხვისთვის იმ საქმიანობის გადაკისრება, რომლის განხორციელებაც პირის მოვალეობას შეადგენს. მაგისტრატის ვალდებულების ან მის მიერ განსახორციელებელი მოქმედებების სხვისთვის უკანონოდ გადაკისრება.

რ. მოქმედი ნორმებით გათვალისწინებული წინასწარი ნებართვის გარეშე იმ ოლქში ცხოვრების მოვალეობის დარღვევა, სადაც მაგისტრატს აქვს ოფისი, თუ ამან კონკრეტულად გამოიწვია გულმოდგინებისა და შრომისმოყვარეობის ვალდებულების დარღვევა.

ს. სამსახურებრივი ვალდებულებით გათვალისწინებული მოქმედებების შესრულება სერიოზული და არასაპატიო გაჭიანურებით. გაჭიანურება არ ითვლება სერიოზულად, სანამ არ დამტკიცდება საწინააღმდეგო და თუ მოქმედების შესრულების ვადა არ აჭარბებს კანონით დადგენილი ვადის სამმაგ ოდენობას.

ტ. სისტემატურად და არასაპატიო მიზეზით სამსახურებრივი ვალდებულების შეუსრულებლობა.

უ. უწყების ხელმძღვანელის, სხდომის ან კოლეგიის თავმჯდომარის მიერ საქმეების განაწილების ვალდებულების შეუსრულებლობა და შესაბამისი აქტების შეუდგენლობა.

ფ. სამსახურებრივი აუცილებელობებიდან გამომდინარე ხელმისაწვდომობის ვალდებულების შეუსრულებლობა, როდესაც ეს გათვალისწინებულია კანონით ან კომპეტენტური ორგანოს მიერ გამოცემული აქტით.

ქ. საიდუმლო ან არასაჯარო დოკუმენტების გახმაურება მათ შორის დაუდევრობით, ან თავშეკავების ვალდებულების შეუსრულებლობა განხილვაში მყოფ ან დასრულებულ საქმეებზე, როდესაც ამან შეიძლება უკანონოდ დააზიანოს სხვისი უფლებები.

ღ. საჯარო განცხადებები ან ინტერვიუები, რომლებიც ნებისმიერი სახით ეხება სამართალწარმოების მონაწილეებს განხილვაში მყოფ საქმეებზე. საჯარო განცხადებები ან ინტერვიუებიისეთ საქმეებზე, რომლებიც ჯერ არ არის დასრულებული გადაწყვეტილებით და რომლებიც აღარ საჩივრდება ჩვეულებრივი წესით.

შ. კანონის დარღვევით, მედიასთან ურთიერთობის ქონა სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით.

ჩ. ცნობების გამოქვეყნება საკუთარ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით, ესე იგი პერსონალურად რეზერვირებული ან პრივირეგირებული საინფორმაციო არხების დაარსება ან გამოყენება.

ც. განცხადებების გაკეთება ან ინტერვიუების მიცემა გაწონასწორებულობის და ზომიერების კრიტერიუმების დარღვევით.

ძ. საპროცესო აქტების განზრახ შედგენა, რომლის სარეზოლუციო და სამოტივაციო ნაწილი ლოგიკურად, შინაარსობრივად ან არგუმენტების თვალსაზრისით აშკარა წინააღმდეგობაშია ერთმანეთთან.

ჭ. უწყების ხელმძღვანელის, სხდომის ან კოლეგიის თავმჯდომარის მხრიდან კომპეტენტური ორგანოსათვის მისთვის ცნობილი იმ ფაქტების შეუტყობინებლობა, რომლებიც შეიძლება ქმნიდნენ უწყებას დაქვემდებარებული, სხდომაში მონაწილე ან კოლეგიის წევრი მაგისტრატის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის შემადგენლობას.

წ. უწყების ხელმძღვანელის ან ზედამხედველობის ფუნქციით აღჭურვილი მაგისტრატის მხრიდან, მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოსათვის კანონით გათვალისწინებული სიტუაციის შეუტყობინებლობა, რომელიც შეიცავს შეუთავსებლობის ნიშნებს.

ხ. საპროცესო აქტის მიღება ყოველგვარი საპროცესო ნორმის გარეშე, კერძოდ, აშკარა ან მძიმე შეცდომის ან უხეში ან არასაპატიო დაუდევრობის საფუძველზე, ასევე, ისეთი აქტების მიღება, რომლის გამოცემაც წარმოადგენს საკანონმდებლო, ადმინისტრაციული ან სხვა კონსტიტუციური ორგანოების უფლებამოსილებას.

ჰ. საპროცესო აქტის მიღება, რომელიც ზღუდავს ინდივიდუალურ თავისუფლებას, კანონით დადგენილი ფარგლების გარეშე, რაც გამოწვეულია უხეში და არასაპატიო დაუდევრობით.

მუხლი 3. მაგისტრატის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ფარგლებს გარეთ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომები

1) მაგისტრატის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ფარგლებს გარეთ ჩადენილ გადაცდომას წარმოადგენს შემდეგი:

ა) მაგისტრატის მიერ მისი თანამდებობის გამოყენება თავისთვის ან სხვისთვის უსამართლო უპირატესობის მოსაპოვებლად;

ბ) წინასწარი შეცნობით საქმიანი ურთიერთობების წარმოება სისხლის ან პრევენციულ სამართალწარმოებას დაქვემდებარებულ ან დანაშაულებრივი ჩვევების მატარებლად, დანაშაულისკენ მიდრეკილად ან პროფესიონალ დამნაშავედ გამოცხადებულ, ან ი არაგანზრახი დანაშაულისთვის თავისუფლების აღკვეთით 3 წელზე მეტი ვადით მისჯილ პირთან (რეაბილიტაციას დაქვემდებარებული პირის გარდა);

გ) არასასამართლო ფუნქციების შეთავსება მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს წინასწარი წერილობითი ნებართვის გარეშე;

დ) სამოსამართლო ფუნქციებთან შეუთავსებელი საქმიანობა;

ე) მაგისტრატის მიერ, წინასწარი შეცნობით სისხლის ან სამოქალაქო წარმოებას დაქვემდებარებული ან მონაწილე პირებისგან (იმ ოლქში, სადაც მაგისტრაქტი ახორციელებს უფლებამოსილებას), მათი ადვოკატებისგან, დაზარალებულების, მოწმეების ან ამ პროცედურებში ჩართული სხვა პირებისგან სესხის ან შეღავათების პირდაპირ ან არაპირდაპირ მიღება;

ვ) მიმდინარე სამართალწარმოებასთან დაკავშირებით თანხმობის ან უთანხმოების საჯარო გამოხატვა, რამაც მაგისტრატის თანამდებობის ან გამოხატვის ფორმის გამო შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს ამ სამართალწარმოებაში გადაწყვეტილების მიღების თავისუფლებაზე;

ზ) საიდუმლო ან ისეთ გაერთიანებებში მონაწილეობა, რომელთა ვალდებულებებიც ობიექტურად შეუთავსებელია სამოსამართლო ფუნქციების განხორციელებასთან;

თ) პოლიტიკურ პარტიებში გაწევრიანება ან მონაწილეობა, ან პოლიტიკურ ან ფინანსურ ცენტრებში მოღვაწეობა, რამაც შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს მაგისტრატის ფუნქციების განხორციელებაზე ან ხელყოს მაგისტრატის პრესტიჟი;

ი) თანამდებობივი სტატუსის გამოყენება რომელიც, მაგისტრატის თანამდებობიდან ან ქმედების განხორციელების ხერხიდან გამომდინარე საფრთხეს უქმნის კონსტიტუციურად დადგენილი ფუნქციების განხორციელებას;

კ) სხვა ნებისმიერი ქცევა, რომელმაც შეიძლება შელახოს მაგისტრატის დამოუკიდებლობა, დაუინტერესებლობა და მიუკერძოებლობა, ან შექმნას ასეთი შთაბეჭდილება.

2. ესპანეთი

1985 წლის ორგანული კანონი სასამართლოს ხელისუფლების თაობაზე
(2014 წლის მდგომარეობით)

მუხლი 416

1. მოსამართლეებისა და მაგისტრატების მიერ ჩადენილი გადაცდომა შეიძლება იყოს განსაკუთრებით მძიმე, მძიმე ან მსუბუქი.

2. განსაკუთრებით მძიმე გადაცდომები ხანდაზმულია 2 წლის გასვლის, მძიმე გადაცდომები - 1 წლის შემდეგ, ხოლო მსუბუქ გადაცდომებზე მოქმედებს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადები.

მუხლი 417

განსაკუთრებით მძიმე გადაცდომას წარმოადგენს შემდეგი:

1. კონსტიტუციისადმი ერთგულების ვალდებულების დარღვევა, რომელსაც ადგენს ამ კანონის 5.1 მუხლი, რაც დადგენილია კანონიერ ძალაში შესული განაჩენით.

2. პოლიტიკური გაერთიანების ან პარტიის წევრობა, ან თანამდებობის დაკავება ან სამსახურის გაწევა.

3. ადგილობრივ ორგანოებთან სერიოზული კონფლიქტის განმეორებითი პროვოცირება მოსამართლის სამოსამართლო საქმიანობასთან დაკავშირებით, სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელების გარდა სხვა საფუძვლით.

4. ბრძანებით, ზეწოლით ან ნებისმიერი სხვა მეთოდით სხვა მოსამართლის ან მაგისტრატის სამოსამართლო საქმიანობაში ჩარევა.

5. განზრახ ან გაუფრთხილებლობით ჩადენილი მოქმედებები ან უმოქმედობანი, რომლებმაც გამოიწვია სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი სამოქალაქო პასუხისმგებლობა ამ კანონის 411-ე მუხლის შესაბამისად.

6. ამ კანონის 389-ე მუხლით გათვალისწინებული ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც შეუსაბამოა მოსამართლის ან მაგისტრატის თანამდებობასთან.

7. სასამართლოებში და ტრიბუნალებში საკუთარი დანიშვნის ხელშეწყობა, როდესაც ეს წარმოშობს ამ კანონის 391-ე და 393-ე მუხლებით გათვალისწინებულ შეუსაბამობებს ან არღვევს ამ მუხლებით დადგენილ აკრძალვებს, ან ამ ორგანოებში უფლებამოსილების განხორციელება, სასამართლოს გენერალური საბჭოსათვის, 394-ე მუხლით გათვალისწინებული იმ გარემოებების შეუტყობინებლად, რომლებიც უკავშირდება იძულებით მივლინებას.

8. საქმის თვითაცილების ვალდებულების შეუსრულებლობა, იმის შეცნობით, რომ სახეზეა კანონით გათვალისწინებული რომელიმე საფუძველი.

9. უგულისყურობა ან გაუმართლებელი და განმეორებითი დაგვიანება პროცედურებისა და საქმეების დაწყების, განხორციელების და გადაწყვეტისას, ან მოსამართლის სხვა უფლებამოსილების განხორციელებისას.

10. სამსახურის მიტოვება არასაპატიო მიზეზით ან სასამართლოში გამოუცხადებლობა ზედიზედ 7 ან მეტი კალენდარული დღის განმავლობაში

11. ცრუ ინფორმაციის მიწოდება შვებულების თაობაზე განცხადებებში, ნებართვებში, შესაბამისობის, ხარჯებისა და ფინანსური დახმარების შესახებ დეკლარაციებში.

12. მოსამართლის ან მაგისტრატის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას მოპოვებული ფაქტებისა და ინფორმაციის გახმაურება, რამაც ზიანი მიაყენა საქმისწარმოებას ან კონკრეტულ პირს.

13. მოსამართლის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება ხელისუფლების ორგანოების, მოხელეთა ან სხვა პროფესიის წარმომადგენელთა მხრიდან შეღავათიანი მოპყრობის მოსაპოვებლად.

14. სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას არასაპატიო უცოდინრობა.

15. სასამართლო გადაწყვეტილებებში აუცილებელი მოტივაციის აბსოლუტური და აშკარა არ არსებობა, რაც დადასტურებულია სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებით. თუ დასაბუთების არმქონე გადაწყვეტილება არ საჩივრდება, აუცილებელია არსებობდეს სამართალწარმოებაში მონაწილე პირის საჩივარი.

16. მძიმე გადაცდომის ჩადენა, როდესაც მოსამართლეს ან მაგისტრატს უკვე დაეკისრა სანქცია 2 სხვა მძიმე გადაცდომის ჩადენისათვის ისე, რომ შესაბამისი ბრძანებები არ ყოფილა გაუქმებული ამ კანონის 427-ე მუხლის შესაბამისად.

მუხლი 418

მძიმე გადაცდომას წარმოადგენს შემდეგი:

1. იერარქიულად ზემდგომი პირების უპატივცემლობა მათი დასწრებით, წერილობით ან საჯაროდ.

2. სხვა მოსამართლის ან მაგისტრატის სამოსამართლო საქმიანობაში ჩარევა, ნებისმიერი რეკომენდაციის სახით.

3. სხვა ოფიციალური უწყებების, ხელისუფლების ორგანოების ან საჯარო მოსამსახურეთა ან კორპორაციების შექება ან გაკრიტიკება მათი ქმედებებისათვის საკუთარი სამოსამართლო სტატუსის მოხსენიებით ან გამოყენებით.

4. ქვემდგომი ინსტანციების მიერ სასამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას იურიდიული ნორმის გამოყენების ან განმარტების შესწორება, გარდა იურისდიქციის განხორციელების შემთხვევისა.

5. უფლებამოსილების გადამეტება ან ბოროტად გამოყენება, ან მოქალაქეების, ინსტიტუტების, მდივნების, ექსპერტების, მართლმსაჯულების ადმინისტრირებაში მონაწილე პერსონალის, ადვოკატების, პროკურორების, სოციალური მუშაკებისა და სასამართლო პოლიციის მოხელეთა უპატივცემლობა.

6. იურიდიული დასაბუთების თვალსაზრისით, სასამართლო გადაწყვეტილებებში უსარგებლო ან უადგილო, უგნური, ან აშკარად შეურაცმყოფელი ან უპატივცემლო გამოთქმების გამოყენება.

7. სასამართლო კლერკების ან დამხმარე პერსონალის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხის არ დაყენება, როდესაც მოსამართლისთვის ცნობილია ან ცნობილი უნდა იყოს ამ პერსონალის მიერ მოვალეობათა შეუსრულებლობა.

8. სასამართლო ინფორმაციის გაცემისთვის დადგენილი ფორმების დარღვევით მოსამართლის მიერ მოვალეობის შესრულებისას მოპოვებული ფაქტების და ინფორმაციის გახმაურება, როდესაც ეს არ არის განსაკუთრებით მძიმე გადაცდომა ამ კანონის 417-ე მუხლის მე-12 ნაწილის შესაბამისად.

9. სამსახურის მიტოვება ან სამსახურში არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა ზედიზედ 3-დან 7 კალენდარულ დღემდე ვადით.

10. საჯარო სხდომის გრაფიკის არასაპატიო და სისტემატური დარღვევა და საჯარო ხასიათის საპროცესო მოქმედებებზე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადება, როდესაც ეს არ წარმოადგენს განსაკუთრებით მძიმე გადაცდომას.

11. საპროცესო მოქმედებების ან საქმეების დაწყების ან წარმართვის გაჭიანურება არასაპატიო მიზეზით, თუ ეს არ წარმოადგენს განსაკუთრებით მძიმე გადაცდომას.

12. სასამართლოს გენერალური საბჭოს, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, ეროვნული სასამართლოს, იუსტიციის უმაღლესი სასამართლოს ან პალატების მიერ დაკისრებული მოთხოვნების შეუსრულებლობა ან უპატივცემლობა, ან ამ ორგანოთა ინსპექციის საქმიანობის ხელის შეშლა.

13. ამ კანონის 317-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში წარმოებაში არსებული საქმეების სიის შედგენა.

14. ნებისმიერი შეუთავსებელი საქმიანობის განხორციელება, რომელიც მითითებულია ამ კანონის 389.5 მუხლში, შესაბამისი ნებართვის გარეშე, ან ამ ნებართვის მოპოვებით ფაქტების დამალვის საფუძველზე.

15. საქმის თვითაცილება შესაბამისი საფუძვლის გარეშე, როდესაც ეს დადგენილია მმართველი პალატის მიერ, ამ კანონის 221.3 მუხლის შესაბამისად.

16. გადაწყვეტილებათა მიღება პროცედურების ბოროტად გამოყენებით, რაც იწვევს სამუშაოს ოდენობის ფიქტიურ გაზრდას გენერალური საბჭოს მიერ შემუშავებული კალკულაციის სისტემის შესაბამისად.

17. ინსპექციის სამუშაოსთვის ხელის შეშლა.

18. მსუბუქი გადაცდომის ჩადენა იმ პირის მიერ, ვისაც საბოლოო გადაწყვეტილებით ადრე დაეკისრა სახდელი 2 მსუბუქი გადაცდომისთვის, რომლებიც ჯერ არ არის გაქარწყლებული, ან რომლებზეც არ არის დაწყებული გაქარწყლების პროცედურები 427-ე მუხლის შესაბამისად.

მუხლი 419

მსუბუქ დისციპლინურ გადაცდომას წარმოადენს შემდეგი:

1. იერარქიის მაღალ საფეხურზე მდგომი კოლეგების უპატივცემლობა, თუ სახეზე არ არის მძიმე გადაცდომის ელემენტები.

2. იერარქიის იმავე ან დაბალ საფეხურზე მდგომი კოლეგების, მოქალაქეების, პროკურატურის წარმომადგენლების, ექსპერტების, ადვოკატების, პროკურორების, სოციალური მუშაკების, მდივნების ან სხვა მომსახურე პერსონალის ან სასამართლო პოლიციის მოხელეების უპატივცემლობა ან უხეში დამოკიდებულება.

3. მოსამართლის ან მაგისტრატის მიერ განხილვაში მყოფ ნებისმიერი კატეგორიის საქმეზე, სასამართლო გადაწყვეტილების შედგენისათვის კანონით დადგენილი ვადების არასაპატიო მიზეზით და უსაფუძვლოდ დარღვევა.

4. არასაპატიო მიზეზით სამსახურში გამოუცხადებლობა ზედიზედ 4 დღემდე.

5. სასამართლოს გენერალური საბჭოს, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, ეროვნული სასამართლოს და იუსტიციის უმაღლესი სასამართლოს ან მმართველი პალატების მიერ უფლებამოსილების ფარგლებში გაცემული მოთხოვნების შეუსრულებლობა.

3. ბულგარეთი

2007 წლის კანონი სასამართლო სისტემის შესახებ

მუხლი 307

1. მოსამართლე, პროკურორი, გამომძიებელი მოსამართლე, აღმასრულებელი, რეგისტრატორი მოსამართლე მიეცემა დისციპლინურ პასუხისგებაში დისციპლინური გადაცდომის ჩადენისათვის.

2. დისციპლინური გადაცდომა არის მოსამართლის, პროკურორის, გამომძიებელი მოსამართლის, აღმასრულებლის, რეგისტრატორი მოსამართლის მიერ ოფიციალური ვალდებულების შეუსრულებლობა.

3. დისციპლინური გადაცდომაა:

1. საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადების სისტემატური შეუსრულებლობა;
2. ნებისმიერი ქმედება, რომელიც უსაფუძვლოდ აჭიანურებს საქმისწარმოებას;
3. პროფესიული ეთიკის წესების დარღვევა;
4. ნებისმიერი ქმედება რომელიც ხელყოფს სასამართლოს პრესტიჟს;
5. სხვა ნებისმიერი ოფიციალური ვალდებულების შეუსრულებლობა.

4. მონტენეგრო

2008 წლის კანონი სასამართლო საბჭოს შესახებ

მუხლი 50

მოსამართლე პასუხს აგებს დისციპლინური გადაცდომის ჩადენისათვის კანონით დადგენილი წესით თუ ის დაუდევრად შეასრულებს სამოსამართლო ვალდებულებებს ან ზიანს მიაყენებს სასამართლოს რეპუტაციას.

5. მაკედონია

2006 წლის კანონი სასამართლოების შესახებ

მუხლი 74

1. მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლებას საფუძვლად შეიძლება დაედოს:
   - მოსამართლის მიერ მძიმე დისციპლინური გადაცდომის ჩადენა, რის გამოც ის კანონის შესაბამისად შეუფერებელია დაკავებული თანამდებობისთვის;

- სასამართლო უფლებამოსილების არაკვალიფიციურად განხორციელება და არაკეთილსინდისიერი ქმედება, რომელიც ჩადენილია კანონით დადგენილ გარემოებებში.

2. გადაწყვეტილებას მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე იღებს მაკედონიის რესპუბლიკის სასამართლო საბჭო.

3. ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო საბჭოს მიერ მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების დღიდან მოსამართლეს უწყდება უფლება მიიღოს შრომის ანაზღაურება.

მუხლი 75

1. მოსამართლის უფლებამოსილების არაკვალიფიციური და არაკეთილსინდისიერი განხორციელება გულისხმობს - მოსამართლის არადამაკმაყოფილებელ პროფესიონალიზმს, რომელიც გავლენას ახდენს მის მიერ შესასრულებელი სამუშაოს ხარისხსა და ეფექტურობაზე, შემდეგ შემთხვევებში:

- თუ ზედიზედ 2 წლის განმავლობაში მაკედონიის რესპუბლიკის სასამართლო საბჭომ არადამაკმაყოფილებლად შეაფასა მოსამართლის საქმიანობა, განსაკუთრებით, მის მიერ საქმეების არადროული განხილვის, სასამართლო პროცესის არაეფექტური და ნელი წარმართვის, ძალაში დატოვებული, შეცვლილი ან გაუქმებული სასამართლო გადაწყვეტილებების მხედველობაში მიღებით;
- მოსამართლის მიერ კონკრეტული საქმეების განხილვისას უფლებამოსილების, არაკვალიფიციური, არადროული და დაუდევარი განხორციელება;
- სასამართლო პროცესის მიკერძოებული წარმართვა, განსაკუთრებით, მხარეთა თანასწორი მოპყრობის თვალსაზრისით;
- გონივრულ ვადაში საქმის განხილვის პრინციპის დარღვევა ან საქმის წარმოების გაჭიანურება საპატიო მიზეზის გარეშე;
- საიდუმლო ინფორმაციის უნებართვო გაცემა;
- ინფორმაციისა და მონაცემების გასაჯაროება სასამართლო საქმეებზე, რომლებზეც საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ არის მიღებული;
- სამართლიანი პროცესის წესების განზრახ დარღვევა;
- სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება ან გადამეტება;
- რეგულაციების ან მოსამართლის ავტონომიის სხვაგვარი დარღვევა საქმის განხილვის დროს;
- მოსამართლეთა ქცევის კოდექსის წესების უხეში დარღვევა, რაც ზიანს აყენებს სასამართლოს პრესტიჟს.

მუხლი 76

მძიმე დისციპლინური გადაცდომა, რომლის ჩადენაც იწვევს მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებას მისი გათავისუფლების მიზნით არის შემდეგი:

1) საზოგადოებრივი სიმშვიდისა და წესრიგის უხეში დარღვევა, რომელიც ზიანს აყენებს მოსამართლის რეპუტაციასა და სასამართლო პრესტიჟს.

2) მხარეთა და სამართალწარმოების სხვა მონაწილეთა უფლებების უხეში დარღვევა, რომელიც ზიანს აყენებს სასამართლოს ავტორიტეტს და სასამართლოს ფუნქციას.

3) დისკრიმინაციის აკრძალვის წესის დარღვევა, ნებისმიერი საფუძვლით.

მუხლი 77

დისციპლინური გადაცდომა, რომლის ჩადენაც გამოიწვევს დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებას, მოსამართლისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ღონისძიების დასაკისრებლად ჩაითვლება შემდეგი:

1) საქმის წარმოების კონკრეტული გრაფიკის დაუცველობა;

2) ზემდგომი ინსტანციის სასამრთლოს მიერ სამართალწარმოების საზედამხედველო ფუნქციის შესრულებაში ხელის შეშლა;

3) უწესო და უღირსი ქცევა ჩადენილი საზოგადოების თვალწინ;

4) მოსამართლის მანტიის ტარებაზე უარის თქმა;

5) საჩუქრებისა და სხვა სარგებლის მიღება სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით;

6) პარტიული ან პოლიტიკური საქმიანობები (ამ კანონის 52-ე მუხლი მე-6 ნაწილი);

7) სხვა საჯარო უფლებამოსილების ან ფუნქციის განხორციელება, რომელიც ორმხრივად შეუთავსებელია სამოსამართლო უფლებამოსილებასთან (ამ კანონის 52-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილები);

8) სასამართლოთა შორის ურთიერთობებში სერიოზული დაბრკოლებების შექმნა, რომელიც მნიშვნელოვნად შეაფერხებს სასამართლოს გამართულ მუშაობას;

9) მენტორის ვალდებულებებისა და მოსამართლის თანაშემწეთა პროფესიული ტრეინინგის განუხორციელებლობა;

10) სამსახურში გამოუცხადებლობა დადგენილი წესების მძიმე დარღვევით;

11) პროფესიული მომზადების ვალდებულების შეუსრულებლობა;

12) დაგეგმილი შედეგების მიუღწევლობა სამსახურში ზედიზედ 8 თვის განმავლობაში საპატიო მიზეზის გარეშე.

6. კოსოვო

2010 წლის კანონი სასამართლო საბჭოს შესახებ

მუხლი 34. დისციპლინური გადაცდომა

1. ამ კანონის მიზნებიდან გამომდინარე, მოსამართლის ან მსაჯულის მიერ დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება შემდეგი:

1.1 სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით დანაშაულის ჩადენაში ბრალეულად ცნობა, გარდა, კანონით დადგენილი წვრილმანი დანაშაულებებისა.

1.2 სამოსამართლო უფლებამოსილების შეუსრულებლობა, ან დაუდევარი შესრულება, ან ბოროტად გამოყენება.

1.3 სამოსამართლო უფლებამოსილების დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად განუხორციელებლობა.

1.4 ეთიკის კოდექსის დარღვევა.

2. სადისციპლინო კოლეგია უფლებამოსილია გამოძიების ან დისციპლინური სამართალწარმოების დროს მოსამართლეს ან მსაჯულს ნებისმიერი ვადით შეუჩეროს ხელფასი.

3. სასამართლო საბჭო გამოსცემს წესებს, რომლითაც განისაზღვრება დისციპლინური გადაცდომები.

7. სერბეთი

2008 წლის კანონი მოსამართლეთა შესახებ

მუხლი 90

1) დისციპლინურ გადაცდომებს წარმოადგენს შემდეგი:

- მოსამართლის დამოუკიდებლობის პრინციპის დარღვევა;
- მოსამართლის მიერ საქმის თვითაცილებაზე უარი, როდესაც სახეზეა მოსამართლის თვითაცილების ან საქმიდან ჩამოცილების კანონით დადგენილი საფუძველი;
- არასაპატიო მიზეზით წერილობითი გადაწყვეტილების შედგენის დაყოვნება;

- არასაპატიო მიზეზით საქმის განხილვის ჩანიშვნის დაყოვნება;
- ხშირი დაგვიანება საქმის განხილვაზე;
- არასაპატიო მიზეზით საქმის წარმოების გაჭიანურება;
- არასაპატიო მიზეზით სასამართლოს თავმჯდომარისათვის მის წარმოებაში არსებული დაყოვნებული საქმეების შეუტყობინებლობა;
- საქმის წარმოებაში მონაწილე პირების და სასამართლო აპარატის აშკარად არასათანადო მოპყრობა;
- საჩუქრის მიღება ინტერესთა კონფლიქტის მარეგულირებელი ნორმების დარღვევით;
- არაჯეროვანი ურთიერთობების დამყარება საქმის წარმოებაში მონაწილე პირებთან და მათ წარმომადგენლებთან;
- სამუშაო საათების დადგენილი რეჟიმის დარღვევა;
- მედიისათვის სასამართლოს გადაწყვეტილებებზე, მოქმედებებზე ან საქმეებზე კომენტარის გაკეთება კანონისა და საქმისწარმოების შესახებ წესების დარღვევით;
- კანონის თანახმად მოსამართლის თანამდებობისთვის შეუთავსებელი საქმიანობის განხორციელება;
- მართლმსაჯულების უმაღლესი საბჭოსთვის არასრული ან არასწორი სახით იმ ინფორმაციის მიწოდება, რომელიც აუცილებელია ამ ორგანოს ფუნქციონირებისათვის და გადაწყვეტილების მისაღებად;
- მოსამართლის საქმიანობის ყოველწლიურ სასამართლო გეგმაში გაუმართლებელი ცვლილებების შეტანა და მოსამართლის პრინციპის დარღვევა კანონის საწინააღმდეგოდ.

8. ხორვატია

1993 წლის კანონი სახელმწიფოს სასამართლო საბჭოს შესახებ
(2005 წლის მდგომარეობით)

მუხლი 63

დისციპლინური გადაცდომებია:

1) ქმედება რომელიც არღვევს სამოსამართლო ეთიკის კოდექსის ფუნდამენტურ პრინციპებს.
2) სამოსამართლო ვალდებულების დაუდევარი შესრულება.

3) ზემდგომი სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა სასამართლო ხელისუფლების შესახებ კანონის 27-28 მუხლების შესაბამისად.

4) ნებისმიერი სამუშაოს, ამოცანის ან ქმედების განხორციელება, რომელიც წინააღმდეგობაშია სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებასთან.

5) სასამართლოს საქმიანობის ხელის შეშლა, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სასამართლოს ამოცანების შესრულებაზე.

6) ოფიციალური საიდუმლოების დარღვევა, რომელიც უკავშირდება სამოსამართლო საქმიანობის განხორციელებას.

7) მოსამართლის ავტორიტეტისა და სასამართლოს ავტორიტეტის სხვაგვარი ხელყოფა.

8) ქონების დეკლარაციის შეუვსებლობა ან დეკლარაციაში განზრახ არასწორი ინფორმაციის წარმოდგენა.

ამ მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, დისციპლინური საქმისწარმოება დაიწყება, განსაკუთრებით:

1) მოსამართლის მიერ საპატიო მიზეზის გარეშე სასამართლო გადაწყვეტილების შეუდგენლობის და ჩაუბარებლობისას.

2) მოსამართლეთა საბჭოს მიერ მისი საქმიანობის ნეგატიურად შეფასებისას.

3) თუ მოსამართლის მიერ წლის განმავლობაში მიღებული გადაწყვეტილებები არასაპატიო მიზეზის გარეშე მნიშვნელოვნად ჩამორჩება ხორვატიის რესპუბლიკის მასშტაბით საშუალო მაჩვენებელს.

9. ესტონეთი

2013 წლის კანონი სასმართლოს შესახებ

მუხლი 87. დისციპლინური სახდელის დაკისრების საფუძველი

1. დისციპლინური სახდელი შეიძლება დაეკისროს მოსამართლეს დისციპლინური გადაცდომის ჩადენისთვის.

2. დისციპლინური გადაცდომა არის მოსამართლის მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა, რომელიც გამოიხატება სამსახურებრივი ვალდებულების შეუსრულებლობაში ან არაჯეროვან შესრულებაში. მოსამართლის მიერ უწესო ქცევის ჩადენა, ასევე, წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას.

10. ბოსნია

ბოსნიის 2014 წლის კანონი მოსამართლეთა შესახებ (პროექტი)

მუხლი 66. მოსამართლეთა დისციპლინური გადაცდომის სახეები

მოსამართლის მიერ დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება შემდეგი:

ა. მოსამართლის მიუკერძოებლობის პრინციპის დარღვევა;

ბ. სამსახურეობრივი უფლებამოსილების განხორციელება მიკერძოებით ან წინასწარ ჩამოყალიბებული განწყობის საფუძველზე, მხარის, რასის, ფერის, სქესის, რელიგიის, ეთნიკური კუთვნილების, ეროვნული წარმოშობის, სექსუალური ორიენტაციის, ან სოციალური და ეკონომიური სტატუსის მიხედვით;

გ. საქმის წარმოების დროს მხარეთა, მოწმეთა და სხვა პირთა ჯეროვანი მოპყრობის აშკარა დარღვევა;

დ. კონფიდენციალური ინფორმაციის გახმაურება, რომელიც მოსამართლისთვის ხელმისაწვდომი გახდა სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას;

ე. მოსამართლის მიერ საჩუქრის ან ანაზღაურების მიღება, რომლის მიზანია მის გადაწყვეტილებებზე ან მოქმედებებზე არაჯეროვანი ზეგავლენის მოხდენა, მათ შორის, როდესაც საჩუქარი ან ანაზღაურება ქმნის მხოლოდ არაჯეროვანი ზეგავლენის შთაბეჭდილებას;

ვ. მოსამართლის თანამდებობრივი მდგომარეობის გამოყენება მისთვის ან სხვებისთვის დაუსაბუთებელი სარგებელის მოსაპოვებლად;

ზ. მოსამართლის მიერ თვითაცილების ვალდებულების განუხორციელებლობა, როდესაც სახეზეა ინტერესთა კონფლიქტი;

თ. დაუდევრობა ან უგულისყურობა სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას;

ი. გადაწყვეტილების გამოტანა კანონის აშკარა დარღვევით ან საქმის წარმოების წესების სისტემატიური და გაუმართლებელი დარღვევა;

კ. გადაწყვეტილებების გამოტანა ან სხვა მოქმედებების განხორციელება გაუმართლებელი დაყოვნებით, ან მოსამართლის სხვა მოვალეობების განმეორებითი უგულებელყოფა;

ლ. საქმეში მონაწილე მხარესთან ან მის წარმომადგენელთან არაჯეროვანი ურთიერთობის დამყარება;

მ. იმ პირების მოსამართლედ დაშვება, რომელთაც არ აქვთ უფლება იმსახურონ მოსამართლედ კანონის შესაბამისად;

ნ. მოსამართლეზე ან პროკურორზე ზემოქმედება მისი საქმიანობის ხელისშეშლის ან დაკნინების მიზნით;

ო. სასამართლოში საქმის განხილვის დროს მასზე კომენტარის გაკეთება, რამაც შესაძლებელია ზეგავლენა მოახდინოს პროცესზე ან ხელი შეუშალოს საქმის სამართლიან განხილვას, ან ჯეროვანი ზომების მიუღებლობა, რათა მოსამართლის დაქვემდებარებაში მყოფმა პირებმა არ გააკეთონ ასეთი კომენტარი;

პ. ისეთი მოქმედებების განხორციელება, რომლებიც შეუთავსებელია მოსამართლის ვალდებულებებთან;

ჟ. საპატიო მიზეზის გარეშე მართლმსაჯულების საბჭოს გადაწყვეტილებების, ბრძანებების ან მოთხოვნების შეუსრულებლობა;

რ. დისციპლინური საქმის გამოკვლევასთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვაზე თავის არიდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს ხდება ლეგიტიმური საფუძვლებით;

ს. სამუშაოს დაწყების მიზნით განცხადების შეტანისას, დისციპლინურ საქმეებზე, დაწინაურების ან კარიერულ წინსვლასთან დაკავშირებული საკითხების ან ნებისმიერი სხვა საკითხის განხილვისას, რომელიც უმაღლესი საბჭოს კომპეტენციას ექვემდებარება, განზრახ ყალბი, მცდარი ან არასაკმარისი მონაცემების მიწოდება.

ტ. სავალდებულო პროფესიულ გადამზადებასთან დაკავშირებული ან კანონით დადგენილი სხვა ვალდებულების შესრულების თავის არიდება;

უ. სხვა სასამართლოში დროებითი მივლინების გადაწყვეტილების შესრულებისთვის თავის არიდება;

ფ. სასამართლოში ან სასამართლოს გარეთ ჩადენილი ნებისმიერი ქმედება, რომელიც ხელყოფს სასამართლოს პრესტიჟს, ან ნებისმიერი სხვა ქმედება, რომელიც წარმოადგენს სამსახურეობრივი ვალდებულებების სერიოზულ დარღვევას ან ხელყოფს სასამართლოს მიუკერძოებლობის მიმართ საზოგადოების ნდობას.

11. რუმინეთი

მუხლი 99

დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება შემდეგი:

ა. ქმედებები, რომლებიც ხელყოფენ მართლმსაჯულების ღირსებას და პროფესიულ შეუვალობას, ჩადენილი სამოსამართლო საქმიანობის განხორციელებისას ან მის გარეთ;

ბ. მოსამართლეებისა და პროკურორების შეუთავსებლობისა და აკრძალვების მარეგულირებელი ნორმების დარღვევა;

გ. სამსახურეობრივი მოვალეობის განხორციელებაზე დაუსაბუთებელი უარი;

დ. უღირსი დამოკიდებულება კოლეგებთან, სასამართლოს სხვა პერსონალთან, სასამართლო ინსპექტორებთან, ადვოკატებთან, მოწმეებთან, ექსპერტებთან ან მხარეებთან სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელების დროს;

ე. პოლიტიკური საქმიანობის განხორციელება საჯაროდ ან პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვა სამსახურეობრივი მოვალეობის განხორციელების დროს;

ვ. საქმის განხილვაში მონაწილე მხარეების მიერ წარმოდგენილი განცხადებების, დასკვნების, დოკუმენტების მიღებაზე დაუსაბუთებელი უარი;

ზ. სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებაზე გაუმართლებელი უარი;

თ. საქმეების სწრაფი განხილვის მარეგულირებელი ნორმების განმეორებითი და არასაპატიო დარღვევა, ან უფლებამოსილების განმეორებითი და არასაპატიო განხორციელება ჩადენილი განმეორებით;

ი. საქმის აცილებაზე უარის თქმა, როდესაც მოსამართლის ან პროკურორისთვის ცნობილი იყო საქმის განხილვის აცილების საფუძვლები;

კ. თათბირის საიდუმლოების დარღვევა ან საიდუმლო დოკუმენტების ან აქტების გახმაურება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს ხდება საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე, კანონის შესაბამისად;

ლ. სხვა მოსამართლის ან პროკურორის საქმიანობაში ჩარევა;

მ. სასამართლოს პროკურორატურის ხელმძღვანელობის მიერ დადგენილი ადმინისტრაციული რეგულაციების გაუმართლებელი დარღვევა;

ნ. ნებართვის გარეშე სამსახურის განმეორებით გაცდენა, რომელიც უშუალოდ ხელყოფს სასამართლოს ან პროკურატურის საქმიანობას;

ო. თანამდებობის გამოყენება ორგანოების მხრიდან შეღავათიანი მოპყრობის მისაღებად, საკუთარი ან ოჯახის წევრის, ან სხვა პირების პერსონალური მოთხოვნის მიღება ან დაყენება სამართლებრივად დადგენილი პროცედურების გარეთ;

პ. საქმეთა ალბათობით განაწილების მარეგულირებელი ნორმის დაუცველობა;

ჟ. სასამართლო ინსპექტორების საქმიანობის ხელის შეშლა ნებისმიერი საშუალებით;

რ. პირდაპირი ან არაპირდაპირი მონაწილეობა პირამიდის ტიპის თამაშებში, აზარტულ თამაშებში, ან საინვესტიციო სისტემებში, რომლის სახსრების გამჭვირვალობა არ არის უზრუნველყოფილი კანონის შესაბამისად;

ს. დასაბუთების აბსოლუტური არ არსებობობა სასამართლო გადაწყვეტილებებში კანონის შესაბამისად;

ტ. სასამართლო გადაწყვეტილებათა ტექსტში არაჯეროვანი გამოთქმების გამოყენება, რომლებიც ეწინააღმდეგება იურიდიულ დასაბუთებას, ხელყოფს სასამართლოს და მაგისტრის ღირსებას;

უ. საკონსტიტუციო სასამართლოს ან საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა გამოყენებაზე უარი სამართლებრივ საკითხებზე საჩივრების განხილვისას;

ფ. არაკეთილსინდისიერი ან უხეში დაუდევრობით მოქმედება.

მუხლი 99[1]

არაკეთილსინდისიერად ჩადენილად ჩაითვლება ქმედება, როდესაც მოსამართლე ან პროკურორი წინასწარი შეცნობით არღვევს არსებით ან პროცესუალურ წესებს.

12. პოლონეთი

საერთო სასამართლოების შესახებ 2001 წლის კანონი

მუხლი 107

1. მოსამართლეს დაეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა სამსახურში ჩადენილი გადაცდომისთვის, რომელიც მოიცავს კანონის ნორმების უხეშ დარღვევას და სამოსამართლო ვალდებულებების დარღვევას (დისციპლინურ დარღვევას).

- მოსამართლე ასევე აგებს პასუხს დისციპლინური წესით ქმედებისათვის, რომელიც მან ჩაიდინა თანამდებობრივი მდგომარეობის დაკავებამდე, თუ მან ჩაიდინა გადაცდომა საჯარო მოხელის რანგში, ან რის გამოც ის შეუფერებელი იყო სამოსამართლო პოსტის დასაკავებლად.

13. საფრანგეთი

საფრანგეთის 1958 წლის ორგანული კანონი მაგისტრატურის სტატუსის შესახებ

მაგისტრატის მიერ საკუთარი ვალდებულებების, პატივის, ღირსების, დელიკატურობის ხელყოფა წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას.

ვალდებულებების შეუსრულებლობად ჩაითვლება პროცესუალური წესის მძიმე და წინასწარშეცნობილი დარღვევა დადგენილი სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებით, რომელიც წარმოადგენს მხარეთა უფლებების ფუნდამენტურ გარანტიას.

14. ალბანეთი

მოსამართლეთა მიერ ჩადენილი გადაცდომები იყოფა განსაკუთრებით მძიმე, მძიმე და მსუბუქ გადაცდომებად.

1. მძიმე გადაცდომას წარმოადგენს მოსამართის ქმედებები და ქცევა, რომელიც სერიოზულად უტეხს სახელს მოსამართლის თანამდებობას და მის პერსონას:

ა. ქმედებები და ქცევები, რომლებიც აკრძალულია ამ კანონის 23-ე მუხლით;

ბ. სამსახურის დატოვება ან გაუმართლებელი გაცდენა 7 ან მეტი დღით, რითაც ზიანი მიადგა ან შეიძლებოდა მიდგომოდა მხარეთა კონსტიტუციურ უფლებებს ან მართლმსაჯულების განხორციელებას.

გ. სავალდებულო პროცესუალური წესების განმეორებითი და გაუმართლებელი დარღვევა, რამაც გამოიწვია ან შეეძლო გამოეწვია მხარეთა კონსტიტუციური უფლებების ან მართლმსაჯულების ხელყოფა;

დ. ქონების დეკლარაციაზე უარი, ან დამალვა ან ცრუ დეკლარაცია;

ე. საჩუქრის, მომსახურების, დაპირების ან შეღავათიანი მოპყრობის პირდაპირი ან არაპირდაპირი მიღება სამოსამართლო თანამდებობის გამო;

ვ. საქმის აცილებაზე უარი, როდესაც ეს არის სავალდებულო სისხლის სამართლის ან სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსით;

ზ. დასაბუთების აბსოლუტური არარსებობა სასამართლო გადაწყვეტილებაში;

თ. დისციპლინური ღონისძიების აღსრულებაზე უარი;

ი. მაღალი სასამართლოს გადაწყვეტილების გამოუყენებლობა, როდესაც ეს გადაწყვეტილება სავალდებულოა საპროცესო კოდექსის თანახმად;

კ. მძიმე გადაცდომის ჩადენა, როდესაც მოსამართლე უკვე არის დასჯილი სხვა მძიმე გადაცდომის გამო, რომელიც არ არის გაქარწყლებული.

2. ქმედება და ქცევა, რომელიც სახელს უტეხს მოსამართლეს წარმაოდგენს მძიმე დისციპლინურ გადაცდომას:

ა. საპროცესო მოქმედებების დაუსაბუთებელი და განმეორებითი დაყოვნება, როდესაც დაგვიანება იწვევს ან შეიძლება გამოიწვიოს მხარეების კონსტიტუციური უფლებების დარღვევა ან ზიანი მოუტანოს მართლმსაჯულების განხორციელებას;

ბ. სასამართლო სხდომის დაწყება განმეორებითი დაგვიანებით;

გ. სამსახურის მიტოვება, ან 3 ან მეტი დღით ზედიზედ გამოუცხადებლობა, რამაც გამოიწვია ან შეიძლება გამოიწვიოს მხარეთა კონსტიტუციური უფლებების ხელყოფა ან ზიანი მოუტანოს მართლმსაჯულების განხორციელებას;

დ. სხვა მოსამართლის საქმიანობაში ნებისმიერი ფორმით ჩარევა ან სხვაგვარი ზეგავლენა;

ე. ფორმალობის წესების დაცვა ამ კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად;

ვ. ეთიკის ნორმების დარღვევა პროცესის მონაწილეებთან, კოლეგებთან, სასამართლოს თავმჯდომარესთან, სასამართლოს ადმინისტრაციულ პერსონალთან, ექსპერტებთან, პროკურორებთან და ადვოკატებთან მიმართებაში;

ზ. შეუფერებელი ან შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენება სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთებისას. ამ შემთხვევებში იუსტიციის უმაღლესი საბჭო საქმისწარმოებას იწყებს მხარეთა შუამდგომლობით;

თ. საიდუმლო ხასიათის მქონე ოფიციალური აქტების ან დოკუმენტების, ან ინფორმაციის ან რეგისტრაციის გასაჯაროება;

ე. სასამართლო ინსპექტორების ხელის შეშლა კანონიერი უფლებამოსილების განხორციელებისას;

ვ. წვრილმანი დარღვევის ჩადენა, როდესაც მოსამართლეს სხვა მცირე დარღვევისთვის ადრე დაეკისრა საყვედური გაფთხილება, რომელიც ჯერ არ არის გაქარწყლებული ან მოხსნილი;

ზ. სხვა სერიოზული ქმედებები, რომლებიც სახელს უტეხს მოსამართლის პოზიციას და თანამდებობას.

3. წვრილმან გადაცდომას წარმოადგენენ შემდეგი ქმედებები, რომლებიც სახელს უტეხენ მოსამართლის პოზიციას და თანამდებობას:

ა. სხდომის დაწყება დაგვიანებით;

ბ. სამსახურში გაუმართლებელი არყოფნა 3 დღემდე ვადით;

გ. საქმის განხილვისას პროცესის მონაწილის თანხლება;

დ. სხვა ქმედებები და ქცევა, რაც სახელს უტეხს მოსამართლის პოზიციას და თანამდებობას.